განკარგულება - N 21.569.650
28 / აპრილი / 2021 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის“ (ს/ნ 206267494) დავალების მიცემის თაობაზე

ქალაქ თბილისის ქუჩების, გამზირების და შიდა კვარტალური გზებისათვის გარე განათების ეფექტურობის მიღწევის, ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით, დედაქალაქში მიზანშეწონილია შეიცვალოს გარე განათების მოწყობილობები თანამედროვე LED ეკონომიური სანათებით, რომელითაც მიღწეული იქნება ეფექტური ეკონომია. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიების, შპს „სანიაღვრე მეურნეობისა“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიმართ ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 11 ნოემბრის N30.41.1427 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქ. თბილისის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიმართ ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის N35.53.1648 დადგენილებით დამტკიცებული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წესდების მე-4 მუხლის 4.2.6 და 4.2.7 ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის, 5.1.15 და 5.1.25 ქვეპუნქტების შესაბამისად, აგრეთვე, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ 2021 წლის 27 აპრილის N62-01211173265 წერილის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.დაევალოს შპს „თბილსერვის ჯგუფს“ ქალაქ თბილისის გარე განათებისათვის თანამედროვე ლედ (LED ეკონომიური) სანათების შესყიდვა, საქარველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული დავალების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი გათვალისწინებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიღებული ელექტროენერგიისა და ექსპლუატაციის ხარჯის შემცირებით მიღებული ეკონომიით.

3.დაევალოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს

„თბილსერვის ჯგუფისათვის“ (ს/კ 206267494) გადარიცხვა ეტაპობრივად, 10 წლის განმავლობაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე